ქალაქ მარნეულში, ჟორდანიას ქუჩა №50-ში მდებარე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №6

ქ. მარნეული 02.10.2013 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვანო ბურნაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე;

მალხაზ სამაშვილი -მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე -ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი -საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ნინო დეკანოიძე – იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

ქალაქ მარნეულში, ჟორდანიას ქუჩა №50-ში მდებარე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის შენობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების **საკონკურსო განცხადება** **განთავსდა** 26-09-2013 **წელს** 12:31 **საათზე, საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადად მითითებული იყო 01.10.2013 წ. 14:00 სთ.**

აღნიშნული დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: ი.მ. ,,დოდო რიბაკოვი" – 6 000 ლარი და შ.პ.ს. ,,მერკური +" – 4 950 ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ კონკურსში უმცირესი ფასი წარმოადგინა შ.პ.ს ,,მერკური +" შესაბამისად კომისია სრული შემდგენლობით თვლის, რომ სამართლებრივად შემსყიდველი ორგანიზაციის კუთვნილი სახსრების ხარჯვის რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს ამ უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტს იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – წარმოადგენს განახლებულ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებული საკონკურსო დოკუმენტაციის მე–7 პუნქტის სარეზიუმე ნაწილის პირდაპირი ციტირების თანახმად – ,,ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან". რაც ამ შემთხვევაში არ არის პრეტენდენტის მიერ დაცული... ასევე, წარმოსადგენია საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცი(ებ)ის შედგენის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება (წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული ასლ(ებ)ი...

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა</u>

1. გაეგზავნოს შეტყობინება შ.პ.ს ,,მერკური+"–ს, რათა მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი განახლებული ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან წარმოდგენა და ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების სათანადო წესით დამოწმებულის ჩვენებამი მოწოდება.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს შეტყობინების წერილი და ოქმი ხელმოწერისთანავე დასკანერებული სახით გაუგზავნოს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე — ვანო ბურნაძე

კომისიის წევრები — დავით ხარშილაძე

მალხაზ სამაშვილი

ვუგარ მამედოვი

წინო დეკანოიძე